

## ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია

### ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები

ქართულ ლექსიკოგრაფიას დიდი და მდიდარი ტრადიციები აქვს. ლექსიკოგრაფიული საქმიანობა საქართველოში მწიგნობრობის წარმოშობასთან ერთად ჩაისახა. უძველესი ხელნაწერი ძეგლები, ორიგინალური თუ ნათარგმნი დიდი რაოდენობით შეიცავს სიტყვა-ცნებათა განმარტებებს, რომლებიც მოცემულია ე.წ. სქოლიო-შეისწავეებში (გლოსები), და რომლებიც რთული ტექსტების გაგებას აადვილებდა.

თავდაპირველი ლექსიკოგრაფიული მუშაობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ექვთიმე მთაწმინდელს, ეფრემ მცირეს, იოვანე პეტრიწს, იოვანე ზოსიმეს, გიორგი მთაწმინდელს და სხვ.

მწიგნობრობის განვითარება წარმოშობდა ლექსიკოგრაფიული მუშაობის აუცილებლობას, ამის გარეშე შეუძლებელი იყო მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მთარგმნელობის განვითარება კი მწვავედ აყენებდა განმარტებითი, ორენოვანი და ენციკლოპედიური ლექსიკონების შედგენის საკითხს.

პირველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია XI საუკუნის უდიდეს ქართველ მწიგნობარს – ფილოლოგს, ფილოსოფოსსა და მთარგმნელს **ეფრემ მცირეს** ეკუთვნის. ეს გახლავთ “ფსალმუნთა თარგმანებისათვის” (სავარაუდოდ დაწერილია 1080 წლამდე) დართული მომცრო სიტყვარი. ეს ნაშრომი უდაოდ ლექსიკონია, რომელშიც თავმოყრილია, როგორც თავად ეფრემი ამბობს “ღრმათა წიგნურთა სიტყვათა ანბანსა ზედა განწყობილთა სიტყუანი”.

ეფრემ მცირე კარგად იცნობდა იმჟამინდელ ბერძნულ-ბიზანტიურ ლექსიკოგრაფიას და დადებით შეფასებას აძლევდა ძველ ავტორთა წიგნებზე დართულ “ღრმა სიტყვათა” განმარტებების, ანუ ლექსიკონის დართვის დამკვიდრებულ წესებს. თავად იყო პირველი მოღვაწე, რომელმაც ამ ტრადიციას სათავე დაუდო ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

განმარტებითი ლექსიკონების თვალსაზრისით, ქართულ ლექსიკოგრაფიაში მთელი ეპოქა შექმნა **სულხან-საბა ორბელიანმა** (1658 – 1725). მისი „სიტყვის კონა“ (XVII ს.) პრაქტიკულად პირველი სრულყოფილი განმარტებითი ლექსიკონია ქართული ენისა. “სულხანმა ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა და დიდი ამაგი დასდო ქართველ ერს, ქართულ კულტურას, – წერდა აკად. აკაკი შანიძე სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავთან დაკავშირებით, – მის მრავალმხრივ საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ქართული ლექსიკონი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დარჩება, როგორც ნიჭისა და დაუცხრომელი შრომის ნაყოფი, როგორც ერთი საუკეთესო მონაპოვართაგანი ქართული კულტურისა”.

საბას ლექსიკონი, თავისი დროისათვის, მართლაც უმნიშვნელოვანესი ძეგლია. როგორც ცნობილია, ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში არც ისე წარმატებული პერიოდია პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა აღმავლობის გზაზეა ქართული

კულტურა. იმ ეპოქის ქართველი მეფეები: არჩილი, ვახტანგ მეექვსე იყვნენ როგორც ლიტერატურის, ისე ზოგადად განათლების და ნიჭიერი ადამიანების დიდი ქომაგები. ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდში უამრავი ახალი ლიტერატურული ძეგლი იქმნება და თანდათანობით ძნელი გასაგები ხდება ძველი ქართული ლიტერატურა. შესაძლოა ეს იყო საბას ლექსიკონის შექმნის უმთავრესი მიზეზი.

ლექსიკონში შეტანილი ყოველი სიტყვა საბას დიდი სიფრთხილითა აქვს ამოკრეფილი ქართული წყაროებიდან და ხშირ შემთხვევაში წყაროებიც დამოწმებული აქვს. წყაროების გარეშე მას ლექსიკონში არც ერთი სიტყვა არა აქვს შეტანილი. მასალა, რომელსაც ამუშავებს სულხან-საბა ორბელიანი სალექსიკონოდ, უპირველეს ყოვლისა ძველი ქართული ენის ძეგლებია: ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, მამათა ცხოვრებანი და სხვა. მაგრამ მას აინტერესებს საზოგადოდ ქართული ენა და სიტყვები ამოაქვს საერო ხასიათის ძეგლებიდანაც (ვეფხისტყაოსნიდან, ამირან-დარეჯანიანიდან, როსტომიანიდან, კარაბადინიდან და სხვა.), და თავისი დროის სასაუბრო ენიდან და ცოცხალი კილოებიდანაც.

სულხან-საბას ლექსიკონი უპირველეს ყოვლისა განმარტებითია, მასში განმარტებები ქართულადაა მოცემული. საბა თავის ლექსიკონზე მუშაობდა თითქმის 40 წელი. მან გადაამუშავა სამი რედაქცია: პირველი C, მეორე B და ბოლო A. საბას ლექსიკონში დაფიქსირებულია არა მარტო სალიტერატურო ქართული ენის სიტყვები, არამედ ზეპირმეტყველების ნიმუშებიც. საბამ თავის ლექსიკონში შეიტანა ძალიან ბევრი ისეთი სიტყვაც, რომლებიც მის დროინდელ ლიტერატურაში აღარ გამოიყენებოდა, რითაც მოახდინა მათი დოკუმენტირება და დიდი ამაგი დასდო ქართულ ენას და ქართველ ერს.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი პირველად მხოლოდ 1884 წელს დაიბეჭდა, თითქმის 160 წლის შემდეგ ავტორის გარდაცვალებიდან. პირველი გამოცემის რედაქტორი იყო ცნობილი მწერალი რაფიელ ერისთავი, რომელმაც თავის გამოცემას საფუძვლად დაუდო საბას ლექსიკონის უკანასკნელი რედაქცია. საბას ლექსიკონი შეიცავს 17 412 სიტყვას, რომლებიც ადვილად გასაგები ენითაა განმარტებული. განმარტებებთან ერთად, საბას ლექსიკონში ქართულ სიტყვებს შესატყვისებიც აქვს მითითებული იტალიურ, სომხურ და თურქულ ენებზე. სავარაუდოდ უცხო ენათა შესატყვისები საბამ თავის ლექსიკონში სასწავლო მიზნით შეიტანა, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავს, მისი ლექსიკონი სასწავლო დანიშნულებისა იყო. სამწუხაროდ, რაფიელ ერისთავისეულ გამოცემას უცხო ენების თარგმანები არ აქვს. უცხო ენათა შესატყვისობები სიტყვა-სტატიის ბოლოსაა მოცემული, ქართული ახსნის შემდეგ, მაგრამ ქართული ტრანსკრიფციით. ხშირად სიტყვა ნათარგმნია სამივე დასახელებულ ენაზე, ხან ორზე, ზოგან – მხოლოდ ერთზე.

მაგ. ქარტა ქალაღდი. – ს. თუხტ, თ. ქალაზ, იტ. ქარტა.

ქლიბი რკინის საფხეკი. – ს. ხარტოც, თ. თეგა, იტ. ლიმა.

ქვეყანა ... თ. დუნია, იტ. მონდო.

ქსენონი სასნეულო სახლი. – იტ. ოსპიდალე.

საბა ლექსიკონში იყენებს პირობით ნიშნებს, რათა ერთმანეთისაგან გაარჩიოს საგნები და მოვლენები: მნათობი (მზე, მთვარე, ვარსკვლავები), ფრინველები და ცხოველები, თევზები და მწერები. ყველა ასეთი სიტყვის გვერდით საბას თავის ლექსიკონში საგანგებო ნიშნები აქვს მოცემული, რაც დარგობრივი კვალიფიკაციების ტოლფასია.

არის შემთხვევები როცა სიტყვას არა აქვს განმარტება და მხოლოდ სიმბოლოა მითითებული. მაგ.:

1. არმუჯი – (მითითებული აქვს ბალახის პირობითი ნიშანი);
2. არყი – ( ბალახის სიმბოლო აქვს);
3. ასაკატი – ( ფრინველის სიმბოლო აქვს);
4. ზვიგენი – (თევზის სიმბოლო აქვს);
5. ფიტა – ( თევზის სიმბოლო აქვს).

გარდა ამ სიმბოლოებისა საბა აღნიშნავს უცხო წარმოშობის სიტყვებსაც, რისთვისაც იგი ნულის მსგავს (0) პირობით ნიშანს იყენებს. ე. ი. „სიტყვის კონაში“ საბა ნასესხებ სიტყვებს გამოყოფს, რაც საინტერესოა ლექსიკოგრაფიული პრინციპის თვალსაზრისით.

საბას ლექსიკონში გამიჯნულია სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობები.

მაგ.: რქა არს პირუტყუთა თავსა ნაბამი (21, 22 ფსალ.); რქა ეწოდების ვენახის ლერწსა (79, 12 ფსალ.); რქა ეწოდების, რომელსა ჭამდა უძღები შვილი (15, 16 ლუკა); რქა ეწოდების ხილსა ერთსა, ლობიოსა ჰგავს. რქა ეწოდების ასოსა ზედა წარზიდულსა, იოტასთან ნახე (5, 18 მათე).

ლექსიკონში საბა დიდ ყურადღებას უთმობს სინონიმებს და მათ შორის არსებული განსხვავებების წარმოჩენას. მაგ. გიჟის სიტყვა-სტატიაში იგი განმარტავს გიჟის სინონიმებს: შმაგი, ხელი, სულელი, ნაღვლიანი, შლეგი, შტერი და სხვა და უჩვენებს სხვაობას აღნიშნულ სინონიმებს შორის (იხ. მე-8 გვერდი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, რაფ. ერისთავის რედაქტორობით გამოსული პირველი ნაბეჭდი გამოცემა არ შეიცავს უცხოენოვან ეკვივალენტებს. ამის მიზეზად აკ. შანიძეს მიაჩნია ის, რომ საბას ლექსიკონის გადამწერებს, როგორც ჩანს, ყველაზე მეტი შეცდომა სწორედ უცხო ენის სიტყვების გადაწერისას მოსდიოდათ, რადგან არ იცოდნენ ეს ენები. ეს შეცდომები თანდათან მრავლდებოდა და ძალიან ძნელი გახდა სწორი ვარიანტების დადგენა.

პროფ. ნატალია ორლოვსკაიას კარგად აქვს შესწავლილი საბას ლექსიკონის იტალიური მასალა. იგი აღნიშნავს, რომ იტალიურ სიტყვებში ბევრია ძვირფასი ქვების აღმნიშვნელი სიტყვები, ასევე სამედიცინო, ბიოლოგიური, ზოოლოგიური და საეკლესიო ტერმინები. ამავე დროს, აქ მრავლადაა ზეპირმეტყველების ნიმუშები.

ქართული სიტყვებისათვის იტალიური თარგმანები ძირითადად სწორადაა შერჩეული, თუმცა არის არასწორი თარგმანის შემთხვევაც.

საბას საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში მოღვაწე იტალიელ მისიონერებთან. მოგვიანებით, მან მიიღო კიდევ კათოლიკური სარწმუნოება.

შეიძლება სწორედ ამ კავშირმა განაპირობა საბას როგორც პოლიტიკური, ისე ფილოლოგიური ინტერესები. საბა იმ ქართველთა შორისაა, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ დასავლეთზე, როგორც მოკავშირეზე მუსლიმანური ქვეყნების წინააღმდეგ. საბა ევროპაში ყოფნისას ხშირად მიმართავდა მისიონერებს დახმარებისთვის. შესაძლოა საბამ მისიონერებისაგან მიიღო ინფორმაცია იტალიურ და ლათინურ მასალაზეც. ერთი რამ კი ცხადია, იტალიური მასალა მას ევროპაში წასვლამდე არ აუსახავს თავის ლექსიკონში.

საიდან აქვს მოტანილი საბას იტალიური მასალა: რომელიმე ლექსიკონიდან თუ ზეპირმეტყველებიდან? ამ კითხვაზე პასუხი საბას ლექსიკონში არაა. ამ დროისათვის უკვე დაბეჭდილი იყო პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონი, თუმცა პაოლინის ლექსიკონისა და საბას ლექსიკონის შედარებამ, პროფ. ნ. ორლოვსკაია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ ორ ლექსიკონს შორის თითქმის არ არის მსგავსება.

საბამ თავისი ლექსიკონის ბოლო რედაქციაში იტალიური თარგმანები არ გადაიტანა. მისი ვიზიტი ევროპაში წარუმატებელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ რომის პაპი და საფრანგეთის მეფე მისდამი კეთილად იყვნენ განწყობილები, პრაქტიკული დახმარება არ გაუწევიათ საქართველოსათვის. საბა ხანგრძლივი და დამლელი მოგზაურობიდან იმედგაცრუებული დაბრუნდა. საქართველოში ჩამოსულ საბას კი ხალხი ნეგატიურად შეხვდა, როგორც კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარს. სწორედ ამ პერიოდში მუშაობდა საბა თავისი ლექსიკონის ბოლო რედაქციაზე და თუ მასში იტალიური თარგმანები არ შევიდა, ეს ალბათ სწორედ ამ იმედგაცრუებამ განაპირობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში შეიტანა ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ზრდილობიან საუბარში არ იხმარება. ასეთია ზოგი ანატომიური ტერმინი, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გამომხატველი სიტყვები და სხვ. ამას სულხანი ასაბუთებდა იმ მოსაზრებით, რომ მისი ქართული ლექსიკონი სრული უნდა ყოფილიყო და სწორად შენიშნავდა: “ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი. უბადონი და ცუდნი არა თუ კიცხვისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვწერე: თუცა უბადო სახელი აღმოიხოცოს, მერმე-ღა უდარესი მოაკლდეს უაღრესსა და ღმერთი-ღა დარჩეს უკეთესი და სხვა არარა, და შემცირდების ენა ქართული”.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ განმარტებითი ლექსიკონიცაა, თარგმნითიც, შეიცავს ენციკლოპედიურ ინფორმაციასაც, რაც ნაწარმოებს უნიკალურ ლექსიკონად წარმოაჩენს.

## **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად**

ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლი) გასული საუკუნის 50-იან – 60-იან წლებში შეიქმნა დიდი ქართველი ენათმეცნიერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქტორობით. ლექსიკონის შედგენაზე და რედაქციაზე მუშაობდნენ ქართული ენათმეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორიცაა: გ. ახვლედიანი, ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, ქ. ლომთათიძე, გ. წერეთელი და სხვა. ლექსიკონში განმარტებულია 113 000-

მდე სიტყვა, რაც, როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია ნათქვამი არ ამოწურავს ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს. ქველისათვის შეიქმნა საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების კორპუსი, ამოკრეფილი ქართული ლიტერატურიდან, პრესიდან და სხვა, სულ მილიონ ექვსასი ათასი ბარათი.

ლექსიკონის I ტომი 1950 წელს გამოვიდა, ხოლო ბოლო, მერვე ტომი - 1964 წელს. ლექსიკონის პირველი ტომის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ახალი სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებაა აღნუსხოს და განმარტოს ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, - ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში. ... ლექსიკონი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქართული სამწერლო ენის ინტენსიური ზრდა-განვითარების პროცესს. განმარტებითი ლექსიკონი უკუფენს ენისა და - ენის მეშვეობით - კულტურის მდგომარეობას; ამდენად იგი ეპოქის დოკუმენტია“.

გარდა სალიტერატურო ენისა, ლექსიკონში ვრცელი ადგილი უკავია დიალექტურ მასალას. „კუთხური ლექსიკა შენაკადია ჩვენი სალიტერატურო ენის სიტყვობრივი მარაგისა და ის მეცნიერების მიერ სამართლიანადაა მიჩნეული მის ამოუწყავ რეზერვად. ისევე, როგორც შენაკადი ასაზრდოებს მდინარეს, ადგილობრივი (დიალექტური) ლექსიკა ასაზრდოებს სალიტერატურო ენის საუნჯეს და მისი განუწყვეტელი გამდიდრების უშრეტ, სათავეკრიალა წყაროს წარმოადგენს“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახლებურადაა გადაწყვეტილი ქართული ზმნის წარმოდგენის საკითხი. „ტრადიციულად ქართულ ლექსიკონებში ზმნა საწყისის (სახელზმნის) სახითაა შეტანილი. ქართული ზმნის სიმდიდრე ქართულ ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნის წარმომადგენლად ნაზმნარი არსებითი სახელი (მოქმედებისა) გვექნება. განმარტებითი ლექსიკონი უარყოფს ამ ტრადიციას. ზმნა აქ ნაჩვენებია არა მხოლოდ საწყისის ფორმით, არამედ პირის, ქცევის, გვარის, კონტაქტის, დინამიკურობა-სტატიკურობის მიხედვით. ზმნის ლექსიკურ ერთეულად კომისიამ მიიღო აწმყოს (მყოფადის) მესამე პირი ყველა ზემოჩამოთვლილი წარმოებისა: თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის გამოცემა დაიწყო 2008 წელს. 2010 წელს გამოქვეყნდა ახალი რედაქციის მეორე ტომი. იმედია, ახალი რედაქციის რვატომეულის გამოცემა გაგრძელდება და რამდენიმე წელიწადში დასრულდება. ლექსიკონის ახალ რედაქციას ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ არაბული.

25 ბობოწვერა ხეს რომ მოთეთრო ხავსივით ჩამოეკიდება, რომელსა ვიეთნი ხის მუშკს უკმობენ.

ბობლნი (150. 4 ფსალ.) ესე არს დაფა და დ. ფდაფი, ტყავისაგან შემზადებული საკრავი.

ბოგა მცირე კიდი.

ბოგანო უაგარაკო გლეხი.

ბოგანო ყანის მავნე ჭუა. Δ

30 ბოგირი ბოგას უდიდე მცირე კიდი.

ბოდიში ესე არს სიტყვით და საქციელით კ. ცი მოიმადლოს.

ბოვი ილეკროს პირველად გამოსადნობელი.

ბოვრი დიდი ბუზი. Δ

ბოზა ფეტვის ბურახი.

35 ბოზი

ბოზობა სიბოზის ქნა.

ბოზობა ორად განიყოფების: სიძუად და მრუშებად.

სიძუა არს უმეუღლოს მიერ ქმნილი.

ხოლო მრუშება მეუღლიანისა მიერ ქმნილი აოზობა.

(50) ბოიკი ორის წლის კარი. ო ბოკელი რადც მობოკლვით შემოაუტულია: ოქროს თმა და რადც ილეკროს აშკი, ანუ ალყა და ძალი და დვრინი, გინა პური მობოკლვით შექმნილი.

ბოკელი ცერცვი, კნდური ბოკლად ითქმის.

ბოკვერი ლომ ვეფხთ და მისთანათ დიდი ლეკვი. (14. 5 მსაჯულია).

ბოკვი კორაფი, ☩

5 ბოკილი ქორის საფერჯული ჯამლს გარდა.

ბოკო კიდურ ნაცუეთი ჭურჭელი ნიჩაბი და რაიც.

ბოლბოლ მეძაო (ძუელს საწინასწარმეტყველოში).

ბოლი დიდი კუამლი.

ბოლო საქმის დასასრული (19. 15 ესაია).

10 ბოლო ფრინველთა და თევზთ კული.

ბოლობეჭედა V

ბოლოდ დასასრულად.

ბოლოდ კუდად.

ბოლო კარკაზი V ეს ფრინველი მიმინოს უმცირესია, ჰაერში მფრინავია, ქუც ვერ დაჯდება, ბუზის ჰამით ცხონდება. მეფენი თავს დაირჭვენ საბედნიაროდ.

15 ბოლოკი ♥

ბოლონია (33. 30) (44. 16).

ბოლოშავი V

ბოლქვი ხახვისა და ნივრის ძირსავით რომ ყვავილსა, თუ ბალახს ძირი ჰქონდეს ბოლცომი მომადლო ადგილი.

20 ბომონი სუტია, ხატსა ანუ კერპზედ აღმართვენ (16. 12 ესაი.).

ბონდი გაბმული კიდი.

ბონმოტი გატეხილი დერგი.

ბოოზ O ბოოს, ძლიერება.

ბოოში ავ ბილწ სიტყვა.

25 ბოყი ახალი ყაჭის პარკი.

ბორა V ძერას ჰგავს, უდიდვა.

ბორაკი ბავრუკი, ერთს საქმელსაც ჰქვიან.

ბორბალი წისქვილისა და მისთანას საბრუნვებელი, გინა საყამნის ბორბალი.

- ბისინო (19. 14 გამოცხ.).
- ბისონი (3. 23 ესაია) ესე არს სახე მწუანისა რასამე, რომლისა მიერ შეიღებვის სამოსელი, ბისონ უწოდიან. არს ფერი ბისონისა ელვარე და ნაკურცხლის ფერი. ♣
- ბისონი სემეფო სამოსელი.
- ბისონი სამოსელი სამღდელო.
- 25 ბისტი ოთხი ფოლი.
- ბიტორიტი საჭურისი.
- ბიჩვერი შტერი.
- ბიცი (106. 35 ფსალ.) ესე არს მიწა, სადა სიმლაშით ნაყოფი არა იქმნების, რომელ არს აღდაჭი.
- ბიძა მამის ძა.
- 30 ბიძია დედის ძმა.
- ბიწი კნინი რამ შერყვნილება (4. 7 ქება).
- ბიწიანი შერყვნილი.
- ბიწოვნება ბიწის ქონება (3 ეფრა 1. 4).
- ბიჭი არა ცოლთან შობილი ბუში.
- 35 ბიჯება ბიჯის წადგმა.
- ბიჯი ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან; ნაბიჯი არს ერთისა ფერკისა გარდადგმა, ხოლო ბიჯი მეორისა გარდანაცულება, რომელი ზომით იქმნების ხუთი ტერფი.
- (ლ) ბლაგვი უმახვილო (7 ნემესიო).
- ბლანტი მოსქე სასმელი, გინაღვინო.
- ფრინველი მძიმედ მფრინავიც ბლანტად მფრინავად ითქმის.

- (მთ) ბლარდნა შეხვევა.
- (49) ბლარდნილი შეხუჭული.
- ბლარჯი ცომი საფუარი.
- ბლარჯობა უცომობის კვირა (12. 15 გამოსლვა).
- 5 ბლატუნი თუალ წარბთ ძრვა უკამსად.
- ბლენცნარა ჩადუნას ჰგავს. ♣
- ბლიკვი ქურჯვ, მუქთ ნახე.
- ბლისტი საკუთარი აგარაკი.
- ბლუ ენა მძიმედ მაყენებლად მოლაპარაკე.
- 10 (მ) ბმა: დამბა, მობმა, გამობმა, ჩამობმა, შემობმა.
- ბმო დიდი მუწუკი.
- ბმული ბმა ქმნილი.
- (ნ) ბნარჯვი ირანგვი. ო
- ბნდუ მიუმხუდარი, სადა დადვას ვერ პოოს.
- 15 ბნედა ანახდად ცნობის მიღება.
- ბნედიანი ბნედის სენის მქონებელი.
- ბნევა მიმო დაფანტვა.
- ბნელეთი უმზეო ადგილი.
- ბნელი უხედველი და უნათელი (5. 20 ესაია).
- 20 (ო) ბოანერგვხ ო წმიდის ჯერასიმეს მიერ ბანერემ, რომელი ჩუენ მიერ ითარგმანა ბანერგეს—ძენი ქუხილისანი.
- ბობალოსი ქ. „ვბთეთ ბობალოსი ესე ბოროტი“. წმიდის პალადის ნეტაფრასში და მარკთზ მახარებლის ნეტაფრასში.
- ბობვა ვერა კეთილად სლვა.
- ბობოლი დიდრონი ჭიაჭუა. ~
- ბობოყველა. V

გზის (5.4 მარკო) ჯერსავეთ.  
(თ) გონავს (22.34 რიცხ.) სათნო  
გიჩნს.

30 გთრავს ღვინო გმეტობს.

(ი) გი ართრონი არს ვითარცა:  
გიპატივე, გრყმევე,  
გიმდაბლე, გიმსახუ-  
რე და მსთან ნი.

გია ტვია Ἰ (ვეფხის ტყაო-  
სანში).

გიბილიი ო კიდე დასასრულ-  
თა.

გიგულვებივს გულვებადთან  
ნახე.

35 გიდელი სკვრი დაწნული.

გიერსონ ო მოვედ მუნ.

გივის გყავს.

გიზი ჩჩვილი ახალი მოლი.

გითხარ (2 ნეშტ. 18.17).

40 გილანი (93.25) 41. —).

გინგილა დ აკენის ოლარი.

(ოე) გინგლი ჩჩვილთ ყრმათ ბეწვი.  
75) გინება ბილწად ქსენება (16.6  
ესაია), გინა წაბილწვა.

გინებს გინდა.

გიობა (2.10 იერე.) გმობა,  
გინ ძაგება, გინა ბოროტად  
ქსენება.

გიობა გმობა და გინება ახ-  
ლო ახლოა.

5 გიორგი ო მუშაკი.

გიუი სიგიჟეცა განიყოფება  
ათერთმეტად: შმაგად,  
ხელად, სულელად,  
ცოფად, ნაღველია-  
ნად, რეგუნად, ტეტე-  
რად, შლეგად, შტე-  
რად, ფეთიანად და  
შეთიანად.

შმაგი არს სიგიჟით თავსაცა  
თვსთა ავნებდეს და სხუა-  
თაცა მავნებელ ექმნებოდეს.

ხელი არს, რომელი უცნობოდ  
გარბოდეს და არც თვთ  
იგვემდეს და არცა სხუათა  
ავნებდეს.

სულელი არს, რომელი არ-  
ცა სრულიად ცნობა მიღე-  
ბულ იყოს და არცარა სა-  
სარგებლო ქნას რამე.

ცოფი არს გონება და ცნობა  
მოძარცული.

ნაღველიანი არს, ოდეს-  
მე ცნობასა იყოს და ოდეს-  
მე უცნობო.

რეგვენი არს, რომელსა სი-  
ბრძნე აკლდეს და მცირედ  
ხელურსა იქმოდეს.

ტეტერი არს, რომელსა სი-  
ბრძნე არა აკლდეს, არამედ  
ხელურსა რასმე იქმოდეს.

შლეგი არს არა ხელი, არცა  
ცნობა მიღებული, არამედ  
დაუცადებელად თავ გაწირ-  
ვით განუსუწმებელი.

შტერი არს, ფრიადისა აღ-  
ორთქლებათა შინაგან ნიეთ-  
თა მიერ საგრძნობელთა  
ორლანო მიღებული და საქ-  
მისა ვერა კეთილად მქნელი.

ფეთიანი არს ღამით საო-  
ცართა და ფეთებათა მიერ  
მცირე ხანს ცნობა მიღებუ-  
ლი.

შეთიანი არს სწეული, რო-  
მელი ხელურად იქცეოდეს  
და ჩქარა დაწვეს და წ.მოდ-  
გეს და უგვანად უბნობდეს.

გირაგი გაზივით არის ხეთაგან  
საქლიბავთა საპყრობელი.

გირაო სხუათა ენაა, ქართუ-  
ლად წინდი ჰქვიან.